საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
პროფესორ მარიამ ჩხაიძის ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში (საფრანგეთი) მივლინების

ანგარიში

მივლინების პერიოდი 2022 წლის 21-25 მარტი

მივლინების ხანგრძლივობა 5 დღე.

აკადემიური პერსონალის მივლინება გულისხმობდა ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის (ერასმუსის კოდი FLILLE11) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულში "**Erasmus+ week, International Seminar on Internationalization, Innovation and Sustainable Development**" მონაწილეობას და სპეციალობით შესაბამის ფაკულტეტთან (**Junia Isen**) თანამშრომლობას.

როგორც დასახელებიდან ჩანს, "ერასმუს+ კვირეული, საერთაშორისო სემინარი ინტერნაციონალიზაცია, ინოვაცია და მდგრადი განვითარება" შეეხებოდა სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, მათ დანერგვას სასწავლო პროცესში უმაღლესი განათლების საფეხურზე, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას უმაღლეს სასწავლებლებში და ზოგადად, მდგრადი განვითარების, გარემოს განვითარების პრობლემების გადაჭრის საკითხებს.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი იყო ძალიან საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა 5 სამუშაო დღის დილის 9:00-საათიდან 17:00-საათამდე პერიოდს. ღონისძიებები გულისხმობდა როგორც საერთო სავალდებულო შეხვედრებს, ასევე არჩევით, ნებაყოფლობით ღონისძიებებს. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო დრო ინდივიდუალური სამუშაოების და შეხვედრებისთვის.

შესაბამისად, ჩემზე ინდივიდუალურად მორგებული და შედგენილი გეგმა გრაფიკი გამოიყურებოდა შემდეგნაირად:



International Seminar - March 2022

Monday 21	Tuesday 22	Wednesday 23	Thursday 24	Friday 25
9.00-12.00 **Welcome Coffee** **Presentation of Université Catholique de Lille (UCLille) and its member institutions** **Presentation of Partner Universities** **Introduction to Innovation and Teaching** Jean-Charles Cailliez, Director of Hemisf4ire At Junia - Room NS193 2 rue Norbert Segard	**8.45 Coffee** 9.00-11.00 **SDG's - Workshop** **Exchange of good practice** Yohann Rogez Room : 11.15-12.15 **Launch of the SDGs4U Erasmus Project** Yohann Rogez Room :	**8.45 Coffee** 9.00-11.00 **General presentation of Innovative Learning and Teaching methods :** **Some examples at UCL** Jean-Charles Cailliez, Director of **Hemisf4ire** Room : 11.15-12.15 **The choice of multidisciplinarity to respond to global challenges (climate change and sustainable dvpt)** Clémence Roger, International Relations at **FGES** Room :	**8.45 Coffee** 9.00-10.00 : Presentation of the **LILLE Programs** Room : 10.00-12.00 Workshop **Sustainable Development : Smartcities** Yohann Rogez Room :	**8.45 Coffee** 9.00-10.00 **Lab visits (Engineering (10 places), Medical, Law)** Meeting point Room : Bus du Droit : emplacement bus et salle ? 10.30-12.00 : **Debriefing and evaluation of the week** Yohann Rogez At Junia - Room NS1932, Rue Norbert Segard
12.30-1.30 **Icebreaking cocktail and lunch** At Junia - Room J002 - bât J 2, rue Norbert Segard	**Free time for lunch** or lunch with students of ESPOL (Partner Universities Forum)	**Free time for lunch**	**Free time for lunch**	12.00-1.30 **Farewell lunch (specialties)** At Junia - Room J002 - bât J 12, rue Norbert Segard
1.45 -2.00: **"Global warning and migrations" A project by UCLille students** 2.00-2.30: **Introduction to the Sustainable Development Goals at UCLille** At Junia - Room NS193 2 rue Norbert Segard 2.30-3.45 **Campus Tour with 2 focuses :** **- SDG's** **- Innovation** Yohann Rogez : Responsable Opérationnel du Programme **Live Tree**	2.00-4.00: **Participation to a class of "Global climate politics and Transformation"** Ms Kalil - **ESPOL** **Room I016** (with Master 1 students) ESPOL - 86 Bd Vauban -Room I016 2.00-4.00: Conference: **Cultural Intelligence** Grant Douglas Lecturer Intercultural Communication **IESEG** Room :	2.00-3.00 Conference **International student mobility and carbon footprint** Grégoire Destombes Energy study engineer **LIVE TREE** Room : 3.15-5.00 **City Tour (group 1)** Garrett EPP Chargé de Projets LILLE Programs Conference guide Meeting room : Junia - Room NS193 2, Rue Norbert Segard 3.15-5.15 Workshop **Innovative Learning Sciences of Engineering + visit of a learning lab** Joep Lensink Dean of academic programs – Master level **JUNIA** At Junia - Room NS193 - Rue Norbert Segard	2.00-5.00 : **JUNIA** **"Climate Fresk"** At Vauban Co-working 41 Boulevard Vauban	2.00-5.00 Time for individual meetings with UCL Faculties/Schools (appointments to be taken by the participants directly with their counterparts)
4.00-5.00 **Optional activity :** **Survival French** (18 pers maxi - Beginners only) At Junia - Room NS093 2 rue Norbert Segard 4.00-5.00 Time for individual meetings with UCL Faculties/Schools (appointments to be taken by the participants directly with their counterparts)	4.00-5.00 Time for individual meetings with UCL Faculties/Schools (appointments to be taken by the participants directly with their counterparts)		5.15-7.00 **City Tour (group 2)** Garrett EPP Meeting point : Vauban Co-working41 Boulevard Vauban	
		7.00 **Official Dinner at "Brasserie de la PAIX"** **25 Place Rihour**		

Core Program
Optional
Individual meetings

როგორც უკვე ვახსენეთ, წარმოდგენილი შეხვედრები იყოფოდა შემდეგ მიმართულებებად: შეხვედრები მდგრადი განვითარების, გარემოს განვითარების საკითხებზე, როგორც ზოგადად, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების ინოვაციური მეთოდები და მათი გამოყენება, ინტერნაციონალიზაცია - ინტერკულტურული ურთიერთობები, ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრები შესაბამის ფაკულტეტებთან, ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის გაცნობა - მათი პროგრამების, ლაბორატორიების, სამუშაო რესურსების, სხვადასხვა პროექტების, სწავლების მეთოდების გაცნობა.

მდგრადი განვითარების თემა იყო წამყვანი მიმართულება დაგეგმილ ღონისძიებებში. ჩატარდა შეხვედრები შემდეგი თემატიკით:

1. გლობალური დათბობა და მიგრაციები;
2. მდგრადი განვითარების მიზნები ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში;
3. ტური უნივერსიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების კუთხით;
4. ვორქშოპი -მდგრადი განვითარების მიზნები - საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;

5. გლობალური კლიმატის პოლიტიკა და ტრანსფორმაცია;
6. მულტიდისციპლინარული არჩევანი გლობალური გამოწვევების საპასუხოდ (გლობალური დათბობა და მდგრადი განვითარება)
7. საერთაშორისო სტუდენტების მობილობა და ნახშირბადის კვალი
8. მდგრადი განვითარება: ჭკვიანი ქალაქები
9. ვორქშოპი კლიმატის ცვლილებაზე.

ყოველი შეხვედრა იყო ძალიან ინფორმატიული და ინტერაქტიური, მოიცავდა გარკვეული სამუშაოებს შესრულებას.

სწავლების ინოვაციური მეთოდებსაც რამდენიმე ძალიან საინტერესო შეხვედრა დაეთმო:

1. შესავალი ინოვაციებსა და სწავლებაში
2. მეცნიერებისა და ინჟინერიის ინოვაციური სწავლება
3. ინოვაციური სწავლება და სწავლების მეთოდები
4. ტური უნივერსიტეტში ინოვაციების კუთხით

ამ შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე: გაგვაცნეს ე.წ. აქტიური, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები და არსებული პრაქტიკა. ძალიან საინტერესო იყო პროექტების მეთოდი, სადაც ბიზნესის წარმომადგენლები არიან ჩართულები, აძლევენ დაკვეთას უნივერსიტეტს მათთვის საჭრო კვლევებზე, შედეგად ლექტორთა ხელმძღვანელობით იქმნება სტუდენტთა ჯგუფები, რომლებიც 8 კვირის განმავლობაში ახორციელებენ ამ კვლევებს და დებენ შედეგებს. მათ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო პირობით, რითაც უზრუნველყოფილია კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება რაც ძალიან მნიშნელოვანია რეალურ პროექტებზე.

მასპინძლებმა ფართოდ წარმოგვიდგინეს და გაგვაცნეს თავად ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში სწავლების პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების მეთოდოლოგია, დაგვათვალიერებინეს ლაბორატორიები, ასევე სპეციალური ლაბორატორია განკუთვნილი პროფესორების მუშაობისათვის, მათ მიერ სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვის ხელშეწყობისათვის, გაგვაცნეს როგორ ასრულებენ მდგრადი

განვითარების მიზნების მიღწევის გეგმას უნივერსიტეტში. ასევე როგორ უწყობს ხელს უნივერსიტეტი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას არა მხოლოდ უნივერსიტეტის მეშვეობით, არამედ საზოგადოებრივ პროექტებში ჩართულობით.

ასევე რამდენიმე შეხვედრა დაეთმო ინტერნაციონალიზაციას - სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მონაწილეებს შორის ინტერკულტურულ ურთიერთობებს, ქვეყნების, მათი კულტურის, სამზარეულის წარმოდგენას და გაცნობას, ინფორმაციის გაცვლას, მათი უნივერსიტეტების დაახლოებას.

ჩატარდა სემინარი “კულტურული ინტელექტი”.

ძალიან საინტერესო იყო ინდივიდუალური შეხვედრები ფაკულტეტთან. შეხვედრაზე გავეცანით ჩვენი მიმართულების ფაკულტეტის ფარგლებში არსებულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს, ქართველი სტუდენტებისათვის ქალაქ ლილში არსებულ პირობებს. ვისაუბრეთ ერთობლივი კვლევების შესაძლებლობებზეც.

დაისახა გეგმები თანამშრომლობის. დავამყარეთ თანამშრომლობითი ურთიერთობა პაკისტანის კინერდის კოლეჯთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლილის კატლიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ვიცე-პრეზიდენტთან ჟან-შარლ კაილიესთან, რომელიც სტუს 100 წლის იუბილის ფარგლებში ჩაატარებს სემინარს სტუს-ს თანამშრომლებისთვის.

დასკვნები

მიღებული ინფორმაციის გადამუშავებით გაკეთდა დასკვნები:

1. კარგი ლექტორი არის ის, ვისაც აქვს განვითარებული შემდეგი უნარები: დარგობრივი ცოდნა, სწავლების მეთოდების ცოდნა და შესაბამისი პიროვნული თვისებები. შესაბამისად, ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარების განვითარებას. ამ კუთხით უნდა ჩატარდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დასავლეთში ძალიან არის წინ წასული საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში და სწავლების ინოვაციურ მეთოდებში. ამ ყველაფრის განვითარება ხელს შეუწყობს სტუდენტთა მეტ დაინტერესებას და მოზიდვას სასწავლო პროცესიდამი.

2. აუცილებელია კვლევის ჩართვა სასწავლო პროცესში და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ბიზნესთან თანამშრომლობაზეც, რომელთა მიერ მოცემულ რეალურ დაკვეთებს განახორციელებს აკადემიური პერსონალი სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით.

3. აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა და პროფესორთა კმაყოფილების კვლევას, მათი მოტივაციის და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვით და გარკვეული წახალისების სისტემის არსებობით. აკადემიურ პერსონალს მუშაობისთვის უნდა შეექმნას შესაბამისი, უსაფრთხო და ყოველმხრივ აღჭურვილი და უზრუნველყოფილი სამუშაო გარემო.

4. აუცილებელია უნივერსიტეტში შეიმქმნას ჯგუფი, რომელიც იზრუნებს მდგრადი განვითარების მიზნების ასრულებაზე უნივერსიტეტის ფარგლებში. ჯგუფში უნდა იყვნენ წარმომადგენლები ფაკულტეტებიდანაც. ჯგუფმა უნდა იმუშავოს შემდეგ მიმართულებებზე: ე.წ. მწვანე ინფრასტრუქტურის შექმნა, შესაბამისი კვლევების ჩატარება, შესაბამისი კურიკულუმის შექმნა, აკადემიური პერსონალის გადამზადება მდგრადი განვითარების მიმართულებით და ე.წ. მწვანე საზოგადოების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სოციალური პროექტების განხორციელებას: შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ხელშეწყობა, უმცირესობების უფლებების დაცვა, გენდერული თუ ეთნიკური ხასიათის თემებზე ცნობადობის ამაღლება, სოციო-კულტურული თემების ხელშეწყობა (ე.წ. Green Campus, Green research, Green curicculum, Green society).